პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ
2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების
დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — მაია ბერაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე — შალვა კილაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4822290153**
თარიღი: **17/10/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ

პირველ და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

თან ერთვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ

პირველ და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსხურის მიერ პირველ და მეორე კვრტალში განხორციელებული იქნა ბიუჯეტით განსაზღვრული მოსახლეობისათავის გათვალისწინებული სხვდასხვა ტიპის დახმარბები კერძოდ: დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია მ რავალშვილიან ოჯახებს, აქედან მესამე შვილის შეძენის გამო 500 ლარი დახმარების სახით მიიღო 39 ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 9 ოჯახმა დახმარების სახით მიიღო - 700 ლარი, მეხუთე შვილის შეძენის გამო ორ ოჯახს გაეწია დახმარება 1000 ლარი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი სარეიტინგო ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა 136 ოჯახმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო - 300 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 20 ოჯახს,რომელთაც გარდაე ცვალათ ოჯახის წევრი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსებისათვის თითოეული ოჯახისთვის გამოყოფილი იქნა- 250 ლარი.

სოციალურად დაუცველ 156 ოჯახს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65 000-დან 100001-ი სარეიტინგო ქულის ჩათვლით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, გამოეყოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 250 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ 427 პირს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 29 ომის მონაწილეს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 22 პირს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), ცერებრალური დამბლით დაავადებულ 93 პირს (თითოეულს 500 ლარი), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 87 პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწია ფულადი დახმარება (თითოეულს - 300 ლარი), თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ 35 პირს (თითოეულს -2000 ლარი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 59 ბავშვს (თითოეულს -300 ლარი), მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 39 პირს (თითოეულს 300 ლარის ოდენობით), ფსორიოზით დაავადებულ 48 პირს 300 ლარის ოდენობით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობ ის მქონე ერთ სტუდენტს გაეწია თანადაფინანსება გადასახდელი თანხის 50%-ით. პარკინსონით დაავადებულ 44 პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს 300 ლარის ოდენობით), ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე 6 ბავშვს გაეწია დახმარება (თითოეულს 1500 ლარი), დიდი სამამულო ომის ორ მონაწილეს თითოეულს 1000 ლარი. სოციალურად დაუცველ ერთ ოჯახს, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0- დან 65 000-ი ქულის ჩათვლით მეორე ახალშობილის შეძენის გამო გამოეყო 300 ლარი. დედ-მამით ობოლ ორ ბავშვს გაეწია

ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით. ას წელს გადაცილებულ სამ პიროვნებას 1000 ლარი. ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ასაკის ორ ბავშვს 1500 ლარი. დახმარება გაეწია ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 28 სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახს, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით აღნიშნული რაოდენობის ოჯახების დასახმარებლად გადანაწილდა 32 200 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია **19** მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებელად თვეში ერთხელ გამოეყოთ - 150 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლები დაინგრა,დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო. ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა ასევე **სამი** მოქალაქე .

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ **635** მოქალაქეზე გაიცა საგარანტიო წერილი(თანადაფინანსება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურების (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევების, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი წილის 50%-ით, არაუმეტეს -1000 ლარისა.). საზღვარგარეთ მკურნალობის ჩასატარებლად დახმარება გაეწია 18 წლამდე ასაკის ერთ ბავშვს, რომლის სამედიცინო მომსახურეობის გაწევა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ქვეყნის გარეთ. დახმარების სახით არასრულწლოვნის ოჯახს გამოეყო 5000 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად სრულად ფინანსდება აუტიზმის სპექტრის და გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროგრამები. პირველ მეორე კვარტალში დაფინანსებული იქნა 41 განსაკუთრებული საჭიროების ბავშვი.

პატივისცემით,